

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა არაბისტიკა

გოგია თამთა

70-იანი წლების საბჭოთა კავშირის სინამდვილის მხატვრული  
ასახვა სუნ'ალლაჰ იბრაჰიმის რომანში „ყინული“

ნაშრომი შესრულებულია აღმოსავლეთმცოდნის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი გიორგი ლობჟანიძე,  
ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

MA Program in Arabic Studies

Gogia Tamta

The Artistic Reflection of the Reality of the Soviet Union in the 70s

Novel of Sun' Allah Ibrahim's "Ice"

The work is compiled to obtain the MA degree in Oriental Studies

The supervisor Giorgi Lobzhanidze

PhD, TSU Associate Professor

Tbilisi 2019

## ანოტაცია

ნაშრომი მიზნად ისახავს, ერთი კონკრეტული არაბული რომანის საფუძველზე, გამოიკვლიოს, თუ როგორია არაბი ავტორის თვალით დანახული საბჭოთა კავშირი. ამისათვის მწყობრად განვიხილავთ ფაქტებს, რომლებიც ეგვიპტელი მწერლის სუნ'ალლაჰი იბრაჰიმის მიერ მხატვრულად იქნა ასახული რომანში „ყინული“.

რომანში განვითარებული მოვლენები ეფუძნება მწერლის პირად გამოცდილებას, რომელიც მან 1971-1973 წლებში, საბჭოთა კავშირის დედაქალაქში მოსკოვში სწავლისას მიიღო.

ნაშრომში წარმოდგენილია მოკლე მიმოხილვა აღნიშნული პერიოდის საბჭოთა კავშირში არსებული რეალობიდან, რომელებიც გამყარებულია ისტორიული ფაქტებით. შემდეგ კი მოსდევს ამონარიდები რომანიდან და ანალიზი იმისა, თუ როგორ უყურებს არაბი ავტორი ამ ობიექტურ სინამდვილეს საკუთარი გადმოსახედიდან.

## Annotation

The work is aimed at research the basis of one particular Arab novel to see the Soviet Union by vision of Arab author.

For this we will consider the facts, which were painted by the Egyptian writer's in the novel "Ice" by Sun' Allah Ibrahim.

The developments in the novel are based on the personal experience of the writer, which he received in 1971-1973, while studying in Moscow in the Soviet Union.

At the work presented a brief overview of this period from the reality of the Soviet Union that has been strengthened by historical facts. Then comes the excerpts from the novel and analyzes how Arab author looks at this objective reality from his own perspective.

## სარჩევი

შესავალი .....	6
თავი I. „ხალხთა მეგობრობა“ თუ საერთო საცხოვრებლის პოლიტიკა.....	11
თავი II.70-იანი წლების საბჭოთა ეკონომიკური სისტემა და მისი ასახვა „ყინულში“ .....	12
თავი III. განათლება და ხელოვნება საბჭოთა კავშირში და მისი ასახვა რომანში .....	19
თავი IV. როგორ მუშაობს „კაგებე“ .....	27
თავი V. „ყინულში“ ასახული ქართული სინამდვილე .....	29
თავი VI. როგორ ხედავს არაბი დასავლელებს საბჭოთა კავშირის სივრციდან. გერმანელი ჰანსის მაგალითზე .....	35
დასკვნა .....	38
გამოყენებული ლიტერატურა.....	40

## შესავალი

არაბი მწერლების საზღვარგარეთ ცხოვრებასა და იქ მიღებულ გამოცდილებაზე მრავალი ნაშრომია შექმნილი, მაგრამ საბჭოთა პოლიტიკურ კონტექსტში ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ჩვენთვის, ქართველებისთვის კი, ვფიქრობ, რომანის არსი ორმაგად მნიშვნელოვანი უნდა იყოს. პირველ რიგში, გამომდინარე იქიდან, რომ რომანში საბჭოთა დამახინჯებული ყოფის დეტალებია ასახული, რომელიც ქართველისთვისაც კარგად ნაცნობი და ახლობელია და მეორე, რომანში ასახულია იმავე ეპოქის ქართული სინამდვილე, რომელსაც ავტორი გვთავაზობს ქართველი რეჟისორის, ოთარ იოსელიანის ორი უმნიშვნელოვანესი ფილმის განხილვით, ესენია „იყო შაშვი მგალობელი“ და „გიორგობისთვე“; გარდა ამისა ავტორი გვიხატავს არაბის თვალთ დანახულ ქართველი ქალის სახეს, რომანის საწყის გვერდებზე კი მისი საქართველოსთან შეხება იწყება საუცხოო ქართული ჩაის დაგემოვნებით.

რომანის ავტორი სუნ 'ალლაჰი იბრაჰიმი(დაიბ. 1937 წელს, კაიროში) ეგვიპტელ მწერლებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა, რომელიც ცნობილია თავისი პროვოკაციული კარიერით.

სუნ'ალლაჰი იბრაჰიმი ცნობილია, როგორც დამოუკიდებელი მწერალი. წერდა თავისებური სტილით და თავის ნაშრომებში მუდმივად ცდილობდა გადმოეცა საკუთარი გამოცდილება და თავისებური ხედვა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებისადმი. ყურადღებას ამახვილებდა თავის ქვეყანაში არსებულ ისეთ მწვავე საკითხებზე, როგორც იყო ნეოლიბერალიზმი და „ინფითაჰი“, ეგვიპტის ამერიკანიზაცია, ეგვიპტის ისლამიზაცია, სახელმწიფო ინსტიტუტების კორუმპირებულობა, ძალადობა, ადამიანის უფლებები, ცენზურა და აზრის გამოხატვის თავისუფლება.

განსხვავებით სხვა ცნობილი ეგვიპტელი მწერლებისგან, მას არასდროს დაუკავებია მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობები.

2003 წელს მან უარი განაცხადა ეგვიპტის კულტურის სამინისტროს მიერ დაწესებული პრესტიჟული ლიტერატურული ჯილდოს, 100 000 ეგვიპტური ფუნტის ოდენობის პრემიის მიღებაზე, რაც ბუნებრივია შოკისმომგვრელი იყო, მაგრამ ამით მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის არის სავსებით დამოუკიდებელი და გულწრფელი ავტორი.

ყოველივე ამის გამო, სუნ 'ალლაჰი მუდმივად სარგებლობდა ეგვიპტელ მემარცხენეთა მხარდაჭერით.<sup>1</sup>

მისი საუკეთესო ნაშრომები, როგორებიც არის تلك الرائحة (*Tilka ar-Rā 'iḥa*, ის სურნელი 1966 ); نجمة أغسطس (*Najmat Aghustus*, აგვისტოს ვარსკვლავი, 1974); اللجنة (*al-Lajna*, კომიტეტი, 1981) და სხვა, მასხარად იგდებს და დასცინის ეგვიპტის ავტორიტარული რეჟიმის სიმახინჯეს. ის არის „სამოციანელთა თაობის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც ცნობილია თავისი მემარცხენე და ნაციონალისტური იდეებით, რაც საკმაოდ პირდაპირ არის

---

<sup>1</sup>[Elliott Colla, Revolution on Ice, \( Jan 6, 2014\) https://www.jadaliyya.com/Details/30039/Revolution-on-Ice](https://www.jadaliyya.com/Details/30039/Revolution-on-Ice)

გამოხატული მის საქმიანობაში. მისი ნაშრომები ცნობილია, როგორც რეალობისა და შავი იუმორის ერთგვარი ნაზავი.<sup>2</sup>

კაიროს უნივერსიტეტში სწავლის დროს ის შეუერთდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მარქსისტულ-დემოკრატიულ მოძრაობას. როგორც მოგვიანებით წერდა, მაქსიმ გორკის ნოველა „დედა“ იყო საფუძველი იმისა, რომის განწევრიანდა ეგვიპტის კომუნისტურ ორგანიზაციაში. 1950-იანი წლების ბოლოს, მას შემდეგ, რაც ეგვიპტის მაშინდელმა პრეზდენტმა, გამალ აბდ ელ-ნასერმა დაიწყო კომუნისტების დევნა, სუნ ‘ალლაჰი, რომელიც მაშინ ჟურნალისტად მუშაობდა, დაპატიმრებულ იქნა თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო. მას შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, თუმცა ოთხწლიანი პატიმრობის შემდეგ, ნიკიტა ხრუშოვის ეგვიპტეში ვიზიტის დროს, გაათავისუფლეს.

ციხეში ყოფნისას ის ინტენსიურად აგრძელებდა განათლების მიღებას და იღრმავებდა ცოდნას სხვა ინტელექტუალი პატიმრებისაგან. 1964 წელს, პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, მან დაასრულა თავისი პირველი ნაშრომი, „ის სურნელი“ ( كئنة الرائحة ), რომელშიც მან ციხეში არსებული ვითარება აღწერა. წიგნი ორი ათეული წლის განმავლობაში აკრძალულად ითვლებოდა ეგვიპტეში.

1968 წელს სუნ ‘ალლაჰი იბრაჰიმმა დატოვა ეგვიპტე. გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობდა ბერლინში, რედაქტორად ახალი ამბების სააგენტოში. შემდეგ გაემგზავრა მოსკოვში, სადაც ეუფლებოდა რუსულ ენას და კინორეჟისორის პროფესიას. 1974 წელს ეგვიპტეში დაბრუნების შემდეგ, მან ისევ განაგრძო წერა და შეუდგა ეგვიპტის ხელისუფლების მანკიერი მხარეების მხილვას. 1981 წელს გამოქვეყნდა მისი ყველაზე ცნობილი წიგნი „კომიტეტი“ ( اللجنة ), რომელშიც ავტორი მასხრად იგდებს ეგვიპტის მაშინდელი პრეზიდენტის, ანვარ სადათის პოლიტიკურ კურსს, როდესაც მან გადაწყვიტა ქვეყნის ეკონომიკის დეცენტრალიზება და გზა გაუხსნა ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების

---

<sup>2</sup> Margaret Litvin, “Fellow Travelers? Two Arab Study Abroad Narratives of Moscow.” In *Illusions And Disillusionment: Travel Writing In The Modern Age*, ed. Roberta Micallef. ILEX/Harvard University Press, June 2018. p.97

შემოდინებას. თუმცა, „კომიტეტმა“ ვერ გაუძლო ცენზურის მარნუხებს, რის გამოც წიგნის გამოცემა ლიბანში მოხდა.<sup>3</sup>

სუნ 'ალლაჰ იბრაჰიმის რომანი „ყინული“, ავტორის მიერ რიგით ბოლო გამოქვეყნებული წიგნია. ( *الجليد* *al-Jalid* ) დაიწერა 2010 წელს და გამოქვეყნდა 2011 წელს. მასში ასახული მოვლენები დაფუძნებულია მწერლის პირად გამოცდილებაზე, რომელიც მან 1971- 1973 წლებში საბჭოთა კავშირში სწავლისას მიიღო.<sup>4</sup>

„ყინული“ მოგვითხრობს ეგვიპტელ კომუნისტზე, რომელიც მიემგზავრება მოსკოვში, სადაც აღმოაჩენს, რომ რუსეთის რევოლუციამ მარცხი განიცადა, მან არ შეასრულა თავისი დანაპირები. ამით ავტორი პარალელს ავლებს ეგვიპტეში ახლად დაწყებულ „არაბული გაზაფხულის“ მოვლენებთან და ცდილობს მკითხველი მიახვედროს, თუ როგორი დასასრული შეიძლება მოჰყვეს რევოლუციას მის ქვეყანაში.

ავტორის ეს გამოცდილება, რომელიც შემდეგ რომანში აისახა, ცივი ომის ისტორიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

ცივი ომის ეპოქის საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე აშკარა მახასიათებელი ნიშანი, საერთაშორისო სტუდენტების საბჭოთა კავშირში შემოდინება იყო. „ხალხთა მეგობრობის“ იდეოლოგიამ სტუდენტები რუსეთში განათლების მისაღებად მოიყვანა სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან, აღმოსავლეთ ევროპიდან, აზიიდან, აფრიკიდან და ლათინური ამერიკიდან. ათასობით სტუდენტი, სხვადასხვა არაბული ქვეყნიდანაც ( სირია, ერაყი, ეგვიპტე, ალჟირი, მაროკო, ლიბია, ლიბანი, პალესტინა და სხვ.) ჩადის საბჭოთა კავშირში განათლების მისაღებად. მრავალი არაბისტუდენტისთვის საბჭოთა კავშირი, კერძოდ რუსეთი, განსაკუთრებით კი მოსკოვი იყო კომუნისტური

<sup>3</sup>The Editors of Encyclopaedia Britannica, 'Sun' Allāh Ibrāhīm (jun 17, 2019) <https://www.britannica.com/biography/Sun-Allah-Ibrahim>

<sup>4</sup> Margaret Litvin, "Fellow Travelers? Two Arab Study Abroad Narratives of Moscow." In Illusions And Disillusionment: Travel Writing In The Modern Age, ed. Roberta Micallef. ILEX/Harvard University Press, June 2018. p.98

ფანტაზიის „წითელი მეფა“. არაბი სტუდენტები საბჭოთა კავშირში სხვადასხვა გზით ხვდებოდნენ. ზოგიერთი მათგანი იღებდა სტიპენდიას, რომელსაც მათ სთავაზობდა უშუალოდ ქვეყნის მთავრობა ან საერთაშორისო ჯგუფები, როგორც იყო, მაგალითად კაიროში დაფუძნებული აფრო-აზიური სახალხო სოლიდარობის ორგანიზაცია. სხვა ქვეყნებში, მაგალითად ერაყში, სტუდენტები რეკომენდებული იყვნენ მიემართათ უშუალოდ ადგილობრივი კომუნისტური პარტიებისთვის. ზოგი მიფრინავდა, ზოგი ხმელთაშუა ზღვის გავლით, გემით მიემგზავრებოდა. ეს ქალები და კაცები ერთად ცხოვრობდნენ საერთო საცხოვრებლებში ან აპარტამენტებში. მტრობდნენ, მეგობრობდნენ, უყვარდებოდათ. იყვნენ მონაწილენი ოფიციალური შეხვედრების, სხვადასხვა სტუდენტური აქტივობების. იღებდნენ განათლებას. მათი უმრავლესობა საინჟინრო საქმესა და ფარმაციას ეუფლებოდა. ასევე იყვნენ ხელოვანი და ინტელექტუალური სფეროს წარმომადგენლებიც.

„ყინულის“ პერსონაჟები იშვიათად დადიან სასწავლებელში. მათი ცხოვრების უმეტესი ნაწილი უჭირავს სექსს, შესაბამისად რომანში მრავლად ვხვდებით თავბრუდამხვევ სასიყვარულო თავადასავლებს და ეროტიკულ სცენებს.

რომანი მკითხველს ამოგზაურებს ბრეჟნევის ეპოქის გაყინულ და დაბინძურებულ საბჭოთაცხოვრებაში, სადაც მკითხველი შეხვდება: შიდა საბჭოურ ეთნიკურ დაძაბულობას; ტროტუარებზე ჩამომსხდარ მთვრალ სამეულებს, ბოთლ არაყს რომ ინაწილებენ; ლატაკ რუს პენსიონრებს, რომელთაც აღარ შესწევთ უნარი, იყიდონ ხორცის კონსერვიც კი; თავისუფალ, მაგრამ არასაიმედო რუს ქალს, რომელიც ფეხმძიმდება და აბორტის გაკეთებას ცდილობს; ყირგიზ ოთახის მეგობარს, რომელსაც საერთო საცხოვრებლის ოთხადგილიან ნომერში, საცხოვრებლად მოჰყავს თავისი რუსი მეგობარი გოგონა; შავ ბაზარზე მომუშავე არაბული საელჩოს ოფიციალურ პირებს; და არაბ სტუდენტებს, რომლებიც განიხილავენ 1973 წლის ოქტომბრის ომის დეტალებს. ეგვიპტელი მთხრობელი, დოქტორი შუქრი, ამ მოვლენებს აღწერს სრულიად უემოციოდ და გვანჯდის ფაქტობრივი მასალის სახით. მათ შელამაზებას კი ცდილობს ტექსტში

პერიოდულად ისეთი თემების შემოტანით, როგორც არის კლასიკური მუსიკა (ჩაიკოვსკი, რახმანინოვი, ხაჩატურიანი), ახლად შექმნილი რუსული სიტყვები, რამდენიმე საოცრად ლამაზი ქერა ქალბატონი (მინი კაბები, გრძელი ფეხები) და საუცხოო ქართული ჩაი.<sup>5</sup>

გარდა ამისა, რომანში მოხსენიებულია იმავე ეპოქაში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები. მათ შორის აშშ-ს ჩართულობა ვიეტნამში, ჩილეს მარქსისტი პრეზიდენტის სალვადორ ალენდეს მკვლელობა 1973 წლის 11 სექტემბერს და 1973 წლის ისრაელ-არაბეთის ომი.

რომანში მრავლად არის გამოყენებული რუსული სიტყვები. მათი ტრანსლიტერაცია მოცემულია არაბულად, ხშირად ამ სიტყვას ფრჩხილებში მიწერილი აქვს შესაბამისი არაბული თარგმანი. განსაკუთრებით ხშირია სიტყვა *البشجيتي* *ობშეჟიტე* (საერთო საცხოვრებელი), სადაც ხდება რომანში ასახულ მოვლენათა უმრავლესობა.

## თავი I

### „ხალხთა მეგობრობა“ თუ საერთო საცხოვრებლის პოლიტიკა

საბჭოთა კავშირში შპიონაჟი, დასმენა და ინფორმაციის საიდუმლოდ გატანა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. არაბი ავტორიც ამ საკითხზე რომანის პირველივე თავში ამახვილებს ყურადღებას.

რომანის დასაწყისშივე, თვალწინ გვემლება შემდეგი სცენა:

---

<sup>5</sup> Margaret Litvin, "Fellow Travelers? Two Arab Study Abroad Narratives of Moscow." In *Illusions And Disillusionment: Travel Writing In The Modern Age*, ed. Roberta Micallef. ILEX/Harvard University Press, June 2018. p.98

„შუადღე მოახლოებული იყო, ოთახის კართან კომენდანტიესალი რომ გამოჩნდა. მრგვალი, პირქუშ სახეზე ნაცრისფერი თმები ჰქონდა ჩამოშლილი. თავისი მსუქანი ტანით კი ოთახის შემოსასვლელს ავსებდა. გვითხრა, რომ ჩვენთან კიდევ ერთი რუსი სტუდენტი იცხოვრებდა. ვუთხარი, აქ მხოლოდ სამი სანოლია-მეთქი. მან კარადის თავზე დაკეცილად შემოდებული, კიდევ ერთი სანოლისკენ მიმითითა. ვუთხარი: 35 წლის ვარ, სიმჭიდროვეს და ხმაურს ველარ ვიტან და გარდა ამისა, კარგი იქნებოდა მეც სხვა კურსდამთავრებული სტუდენტების მსგავსად, ერთ ადგილიან ოთახში მარტოს მეცხოვრა-მეთქი. წამიერად შემომხედა, თითქოს გამომა ჩემი მომცრო ზომის ტანი, ნამდვილად ვიმსახურებდი თუ არა ცალკე ოთახს. შემდეგ თქვა:ტავარიშშუქრი, ლადნა, კარგი, დარჩებით სამნი, როგორც ხართ.

როცა წავიდა, ბრაზილიელმა მარიომ კართან ახლოს დაკიდებული 1973 წლის კედლის კალენდარი შეასწორა. მარიო გამხდარი იყო, ჩემი სიმალლის. ვინრო, ნერვიული თვალები ჰქონდა და ტანზე ნაქარგებიანი შალის მაისური და ჯინსის შარვალი ეცვა. „მათ უცხოელებთან რუსი სტუდენტის განთავსება ინფორმაციის გადასაცემად სჭირდებათ“- თქვა მარიომ და თან ცალ ყურზე დაკიდებულ საყურეს ათამაშებდა. აქედან არათფერია გასატანი, თქვა მაღალი ტანის, აზიური ვარეგნობის ჯალალ დინოვმა, რომელიც ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან იყო, თითქოს მასზე ეჭვის მიტანისგან თავის დაცვას ცდილობსო.“ (გვ.7)

## თავი II

### 70-იანი წლების საბჭოთა ეკონომიკური სისტემა და მისი ასახვა „ყინულში“

70-იანი წლების საბჭოთა კავშირი, ეს არის ეპოქა, რომელსაც მიხეილ გორბაჩოვმა უწოდა „უძრავობის ხანა“ და გულისხმობს საბჭოთა კავშირის ჩამორჩენილობას ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური თვალსაზრისით. თუმცა, თავად ლეონიდ

ბრეჟნევი თავისი მმართველობის ამ პერიოდს (1964-1982 წწ.) „სოციალური განვითარების ხანა“-ს უწოდებდა.

1970-იან წლებში საბჭოთა კავშირში რეფორმების ყველანაირი იდეა ჩაკვდა. ქვეყანა ჩაეტყუა უძრაობაში.

ბრეჟნევის ხანაში მთელი ქვეყანა, გადატანილი აზრით, იჭდა გაჩერებულ ვაგონში, რომელსაც აქანავებდნენ მოძრაობის იმიტაციის შესაქმნელად. პროპაგანდა მოქალაქეებს ყურებს უჭედავდა ინფორმაციით არაჩვეულებრივი ეკონომიკური მიღწევების შესახებ, რომლებიც რეალურად არ არსებობდა ან იმდენად მცირე იყო, რომ ვერ ახდენდა შესამჩნევ გავლენას დიდი ქვეყნის განვითარებაზე.<sup>6</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში არ იყო უკიდურესად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, საბჭოთა მოქალაქეებს მუდმივად ჰქონდათ იმის მოლოდინი, რომ მათი ცხოვრების სტილიც დასავლური კაპიტალიტური ქვეყნების მსგავსი გახდებოდა. საბჭოთა კავშირში არ მოიპოვებოდა იმ რაოდენობის სამომხმარებლო საქონელი, როგორც წარმოდგენილი იყო დასავლურ ქვეყნებში. ბევრი მკვლევარი ამ თვალსაზრისს საბჭოთა ცენტრალურ დაგეგმვას მიანერს, რაც იმას გულისხმობდა, რომ საბჭოთა ეკონომიკა დაგეგმარებული იყო სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ, რომელიც ცდილობდა არსებული რესურსის დაბალანსებას სასურველი შედეგით. საერთო ჯამში, მათ სურდათ მიწოდებისა და მოთხოვნის დაბალანსება, თუმცა ამ ბალანსის შენარჩუნებას ყოველთვის ვერ ახერხებდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ზოგჯერ სასურველი საქონელი არასაკმარისი იყო, ეს შეიძლებოდა ყოფილიყო წვრილმანი ნივთი, რომელსაც ხალხი ან საერთოდ ვერ ღებულობდა ან შეიძლებოდა მიეღო ძალიან დიდი ხნის ლოდინის შემდეგ.<sup>7</sup> სასურსათო მაღაზიებში დახლები ნახევრად ცარიელი იყო.

---

<sup>6</sup>გაჩეჩილაძე რ., საქართველო მსოფლიო კონტექსტში, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2017, გვ.367

<sup>7</sup> Michelle penn, Era of stagnation in Russia: Causes & Effects, <https://study.com/academy/lesson/era-of-stagnation-in-russia-causes-effects.html>

სსენებულმა ვითარებამ ასახვა ჰპოვა „ყინულშიც“ . მთხრობელი შუქრი გვიყვება რამდენიმე ამბავსპირადი გამოცდილებიდან:

„ბოსტნეულის მაღაზიაში შევედით, მაგრამ იქ ვერაფერი ვიპოვეთ გარდა კიტრის მწნილისა.“ (გვ.71)

„მოულოდნელად უნაური პროცესიის მონმენი გავხდით. ოთხ თუ ხუთ რიგად ჩამწკრივებული თავსაბურავიანი ქალები, თოვლში უსიტყვოდ მიაბიჯებდნენ. მიემართებოდნენ წითელი მოედნისკენ. მძლოლმა თქვა, რომ ისინი სავაჭრო ცენტრ „გუმისკენ“ მიდიოდნენ, რომელიც რვა საათზე იღებოდა და პროდუქტების საყიდლად რიგში უნდა ჩამდგარიყვნენ. ცოტა ხნის შემდეგ დაამატა, რომ სმოლენსკის მოედანზე, სასურსათო მაღაზიაში არის სპეციალური ადგილი, რომელიც ემსახურება განსაკუთრებულ ხალხს და ვარსკვლავებს. მათ ტელეფონის საშუალებით შეუძლიათ შეიძინონ ხორცი, კეფირი, კონიაკი თუ სოსისი. მაშინ, როცა უბრალო ხალხს საათობით უხდება რიგებში დგომა.“ (გვ.151)

„საკონდიტრო მაღაზიასთან ჩავიარე, რომლის ვიტრინაზე მხოლოდ პლასტმასის ტორტის მოდელი იდო. შემდეგ იყო ფეხსაცმლის მაღაზია, რომელიც აღარავის აინტერესებდა, რადგან იქ წარმოდგენილი მოდელები მოღური აღარ იყო. თევზის მაღაზიაში მხოლოდ ორცხობილა და დაკონსერვებული თევზი ჰქონდათ, შესაბამისად აღარც რიგები იყო. თუმცა, ქალები ხელში თავიანთი ბადე-ჩანთებით, მაღაზიიდან მაღაზიაში გადადიოდნენ და ყველა მათგანის ყური თუ დაკვირვებული თვალი მიმართული იყო გამყიდველთა უესტებისა თუ პროდუქტების დამტარებელი მანქანებისკენ, რომელიც მათ აცნობებდა, რომ ახლახანს რაღაც მიიღეს : ახალი თევზი, სოსისი თუ ქათამი.“ (გვ.116).

„მაღაზიაში შევედი, რომ პომიდორი, კარაქი და პური მეყიდა, მაგრამ აღარ იყო. იქვე, ტროტუარზე რუსი გლეხი წითელი ბოლოკის კონებს ჰყიდდა.“(გვ. 119)

უძრაობის ხანაში გაიფურჩქნა კორუფცია. ის სტალინის დროსაც არსებობდა, მაგრამ ღრმა იატაკქვეშეთში ჩამალული. მისი აღმოჩენისას კი სასჯელი მკაცრი იყო.

ხრუშოვის და, განსაკუთრებით, ბრეჟნევის ეპოქის საბჭოეთის უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობის(არცთუ იშვიათად- მათი ოჯახის წევრების) სულ უფრო მზარდ მადას უცხოურ საქონელზე, ბრილიანტებზე, საზღვარგარეთ სეირნობაზე, ავტომობილებზე (ბრეჟნევის, მაგალითად 50-ზე მეტი სუპერჩქაროსნული მანქანა ჰყავდა) ბუნებრივად თან ერთვოდა კავშირი ორგანიზებულ დანაშაულთან, როგორც იყო, მაგალითად საზღვარგარეთ ოქროს გატანა, უცხოური ვალუტის იმ დროს უკანონო შემოტანა, ნარკოტიკებით ვაჭრობა.<sup>8</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით მთხრობელი შუქრი გვიამბობს:

*„ტალიამ თქვა, რომ ბრეჟნევი ახალი, სწრაფი ავტომობილებით იყო გატაცებული, განსაკუთრებით მოსწონდა ამერიკული და რამდენიმე მათგანს ფლობდა კიდეც. მის ვაჟს იახტა ჰყავს და სათევზაოდ აფრიკაში დადის ხოლმე. მისი ქალიშვილი გალინა კი საყვარლების ყოლის და ბრილიანტების შეძენის მოყვარულია და მისი საზღვარგარეთ გატანის კონტრაბანდაშია ჩართული. მისი ქმარი, იური ჩურბანოვი შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილეა, რომელიც მილიონობით ქრთამს იღებს.“ (გვ.65)*

კორუფციას გამოკვეთილი გეოგრაფიული განზომილება ჰქონდა. ის ძალაუფლების ცენტრებთან იყო დაკავშირებული და, უპირველესად, კონცენტრირებული იყო მოსკოვში, სადაც ღებულობდნენ ყველანაირ გადანყვეტილებას, მათ შორის მატერიალური და ფინანსური რესურსების განაწილების შესახებ. სასურველი გადანყვეტილების „ლობირება“ ჩვეულებრივ მოსკოვის რესტორნებში ხდებოდა და შუა აზიის ან კავკასიის

---

<sup>8</sup>გაჩეჩილაძე რ., საქართველო მსოფლიო კონტექსტში, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი2017,გვ.367-368

რესპუბლიკებიდან, სადაც კორუფცია განსაკუთრებით ყვაოდა, შესაბამისი თანხები მოსკოველი ბიუროკრატების ჯიბეში გადადიოდა.<sup>9</sup>

არსებული რეალობა ასახულია რომანშიც :

*„ბარი უცხოელებით და აზიელი საბჭოელებით იყო გადავსებული. ჰამიდმა თქვა: აქ აწყობენ შავი ბაზრის საიდუმლოვარიგებებს, ესენიაკონტრაბადულიხე-ტყე, რომელიც შუა აზიაში გააქვთ; შავი ხიზილალა, რომელიც დასავლეთში გადის ქილებით, რომელსაც აწერია-ქაშაყი; ასევე ოქრო, ბენვი, ბრილიანტი, ხატები და იმპორტირებული ჩასახვს სანინაალმდეგო აბებიც კი.“(გვ.80)*

ბრეჟნევის ეპოქაში, საბჭოთა ხელმძღვანელობა იძულებული გახდა კულტურული პოლიტიკის კუთხით გარკვეული ცვლილებები გაეტარებინა. თუმცა, კომუნისტური სისტემის ფუნდამენტური მახასიათებლები იგივე დარჩა. როკ-მუსიკა და ჯინსები, რომლებიც ადრე აკრძალული იყო, როგორც დასავლური კულტურის მახასიათებლები, ამიერიდან ლეგალური გახდა. 1970 წლიდან საბჭოთა კავშირმა თავადაც დაიწყო საკუთარი ჯინსების წარმოება. დროთა განმავლობაში ახალგაზრდა თაობას სულ უფრო მეტად უჩნდებოდა სურვილი დასავლური პროდუქციის შეძენისა. ბრეჟნევის ეპოქაში აყვავდა შავი ბაზარი და „ყალბი დასავლური ჯინსები“ სულ უფრო პოპულარული გახდა. აღარავინ იცმევდა ადგილობრივ მაღაზიებში განთავსებულ ძველმოდურ ტანსაცმელს. გაჩნდა „ჩრდილოვანი ეკონომიკა“ და აყვავდა სპეკულაცია.

სპეკულანტი პარაზიტობდა გეგმური ეკონომიკის პირობებში არსებულ დეფიციტზე. სახელმწიფო მაღაზიაში ან ქრთამის ფასად - პირდაპირ სახელმწიფო საწყობის მუშაკისაგან ის ყიდულობდა საქონელს, ვთქვათ, მოდურ ტანსაცმელს, უცხოურ სუნამოს,

---

<sup>9</sup>გაჩეჩილაძე რ., საქართველო მსოფლიო კონტექსტში, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი2017, გვ.368-369

იშვიათ და ძალიან საჭირო წამლებს. ამ საქონელს სპეკულანტი გაცლებით ძვირად ყიდდა სრულებით უკონკურენტო გარემოში.<sup>10</sup>

*„ტელეფონმა დარეკა და გავიგონეთ, რომ ნატაშამ ზოგიერთი უცხოური ტანსაცმლის ფასები ჩამოთვალა. ჩანდა თითქოს მეიდველს და გამყიდველს შორის შუამავალი იყო. როცა შეამჩნია, რომ დაუინებით ვუყურებდი, თქვა: რატომ არავინ არის ჩვენ შორის, ვისაც საბჭოური პერანგი ან პიჯაკი აცვია? რადგან ყველა ახალმა მოდამ უნდა გაიაროს ათი სხვადასხვა დონე, რაც საჭიროებს ხუთწელიწადს, ვიდრე ის მისაღებად ჩაითვლება. ხრუშოვის დროს პოლიცია აკავებდა ყველას, ვისაც ჭინსი ეცვა.“(გვ.135)*

*„დავინახე, რომ ფეხზე მაღალქუსლიანი მოდური ფეხსაცმელები ეცვა. ვკითხე, საიდან გაქვს მეთქი? თქვა რომ ის იტალიური იყო, რინკიდან. ვკითხე: საიდან? პასუხი მწყრაღად გაიმეორა: რინკიდან. ჰანსმა მითხრა: საიდუმლო ბაზარს გულისხმობს, მას ერთი კონკრეტული ადგილი არ გააჩნია, თუმცა იქ იპოვი ძნელად საშოვნელ საქონელს, როგორცაა პომიდორი ან ბისკვიტი, მოხერის თავშალი, წყვილი იტალიური საბურავი, ტყავის მინი ქვედაბოლო, ქალის წინდები. გალიამ დაამატა: ასევე შესაძლებელია მთელი ყუთი ამერიკული სივარეტის შეძენა ოც რუბლად, არის დასავლური შოკოლადები და ძველი წიგნებიც.“(გვ.107)*

მთხრობელი შუქრი, ხშირად სტუმრობს მაღაზია „ბერიოზკას“, სადაც შესაძლებელი იყო როგორც საზღვარგარეთული, ისე რუსულინაწარმის ისეთი სახეობების შეძენა, რაც ჩვეულებრივ მაღაზიებში არ იყიდებოდა.აქ შესაძლებელი იყო საკვები პროდუქტების, ალკოჰოლური სასმელებისდა ისეთი წიგნების შეძენაც კი, რომლებსაც საბჭოთა მთავრობა მიუღებლად თვლიდა, მათ შორის ოსიპ მანდელშტამისა და ბორის პასტერნაკის თხზულებები. თუმცა, მაღაზია მხოლოდ ადგილობრივ ჩეკებზე და უცხოურ ვალუტაზე მუშაობდა. მისი მომხმარებლები კი ძირითადად ელიტარული წრის წარმომადგენლები იყვნენ, რომელთაც თავიანთი პრესტიჟული სამსახურები კომუნისტურ

---

<sup>10</sup>გაჩეჩილაძე რ., საქართველო მსოფლიო კონტექსტში, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი2017, გვ.361

პარტიაში საზღვარგარეთ გამგზავრებისა და უცხოური ვალუტის ქონის შესაძლებლობასაც აძლევდა. საბჭოთა მოქალაქეებისთვის კი უცხოურ ვალუტაზე ხელმისაწვდომობა რამდენიმე გზით იყო შესაძლებელი. ზოგი მათგანი საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავების მეშვეობით ღებულობდა დოლარს, ზოგი უშუალოდ საბჭოთა კავშირში ჩასული უცხოელებისგან ყიდულობდა, და იყო კიდევ ერთი გზა - შავი ბაზარი, სადაც კონტრაბანდისტები ითხოვდნენ სამ-ოთხჯერ მეტ თანხას, ვიდრე ოფიციალური კურსით იყო დადგენილი.<sup>11</sup>

ამ თემას შეეხო „ყინულის“ ავტორიც. რომანში მთხრობელი თავის რამდენიმე მეგობართან ერთად სტუმრობს ერთ-ერთი არაბული საელჩოს მაღალჩინოსანს, ვალიდს რომელსაც ესტუმრება რუსი ცოლ-ქმარი. მათგან ვალიდი რუბლის სანაცვლოდ დოლარების შეკვრას იღებს:

*„ვალიდი გვერდზე გაიყვანა და დოლარების შეკვრა მისცა. ვალიდმა სანაცვლოდ რუბლი გაუნოდა. მერე ჩვენკენ შემობრუნდა, თან ხელში დოლარების შეკვრა ჰქონდა და გვითხრა: რომელიმე თქვენგანს დოლარის გადაცვლა თუ დაგჭირდეთ, თქვენს სამსახურში ვარო.“ (გვ.30)*

*„ჰამიდის გვერდით გავჩერდი და ჩურჩულით ვკითხე: ვალიდი რომ დოლარის გადაცვლას გვთავაზობს, ნუთუ არაფრის ეშინია-მეთქი. ჰამიდს გაეცინა და თქვა: ვალუტის გადაცვლის ოპერაციები „კაგებეს“ პატრონაჟით ხორციელდება, რადგან სახელმწიფოს დოლარები სჭირდებაო.“ (გვ. 30)*

*„ჭეიდარმა თქვა, რომ დოლარის რუბლში გადაცვლა სურდა. იქვე დასძინა, რომ შავ ბაზარზე ერთი დოლარის ფასი 3.40 რუბლია, თუმცა თუ დავიცდით, ერთ კვირაში შესაძლოა 3.60 რუბლამდე გაიზარდოსო.“ (გვ. 179)*

---

<sup>11</sup>Tommi O'callaghan, (april 29, 2018) Beryozka shops: How Soviet citizens bought scarce goods with foreign currency <https://www.rbth.com/history/328174-beryoza-shops-soviet-foreign-currency>

1928 წლიდან საბჭოთა კავშირში არსებობდა გეგმური მეურნეობა და მთელი სახელმწიფოსათვის, რესპუბლიკების, რაიონების, ქალაქების, ცალკეული საწარმოებისათვის სოციალ-ეკონომიკური განვითარების გეგმა დგებოდა. „გეგმის შესრულება“ ყველა დონის ხელმძღვანელისათვის თავსატეხს წარმოადგენდა, რადგან ამაზე იყო დამოკიდებული მისი თანამდებობაზე დარჩენა და კარიერა.<sup>12</sup>

ცენტრალიზებული გეგმური მეურნეობა კი არაეფექტიან ეკონომიკას ნიშნავდა. კონკურენცია არ არსებობდა და ხარისხზე ზრუნვაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო დაგეგმილი რეოლენობრივი მაჩვენებლების მიღწევა. ეს ტენდენცია თითქმის არ ეხებოდა სამხედრო მრეწველობას, სადაც კონტროლი ძალიან მკაცრი იყო. მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა.<sup>13</sup>

*„ჰამილმა ზოგიერთი საბჭოური ნაწარმის დაბალ ხარისხზე და დასავლურ პროდუქციასთან შედარებით მისი გარეგნული მხარის ჩამორჩენილობაზე გააკეთა კომენტარი. ვთქვი, რომ ამის მიზეზი ბაზარზე კონკურენციის არარსებობაა, თუმცა არსებული ნაწარმი კარგი ხარისხისაა-მეთქი. ხალხი იძულებულია იყიდოს ნებისმიერი პროდუქტი, რადგან ალტერნატივა არ არსებობსო-თქვა ჰამილმა. ვთქვი, რომ ამათთვის ალტერნატივა არასოდეს არსებობს, ეს კაპიტალისტური კონკურენციაა. ვალიდი დაეთანხმა ჩემს ნათქვამს.“ (გვ. 30)*

*„წვერი საბჭოური რკინის სამართებლით გავიპარსე და მოცებდა ის ფაქტი, რომ საბჭოელები აწარმოებენ რაკეტებს და რატომ არ შეუძლიათ, ან არ არიან დაინტერესებულნი რიგიანი სამართებლის წარმოებით.“ (გვ.11)*

---

<sup>12</sup>გაჩეჩილაძე რ., რას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი? ჟურნალი „ჩემი სამყარო“ 2004, გვ.37

<sup>13</sup>გაჩეჩილაძე რ., საქართველო მსოფლიო კონტექსტში, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი2017, გვ.361

## თავი III

# განათლება და ხელოვნება საბჭოთა კავშირში და მისი ასახვა რომანში

საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით მისი შექმნიდან პირველ ათწლეულებში, განათლება უაღრესად ცენტრალიზებული იყო და თითოეული სკოლის სასწავლო გეგმის ძირითად ელემენტს შეადგენდა მარქსისტ-ლენინური თეორიის ინდოქტრინაცია. სახელმძღვანელოთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ისტორიული წიგნები, სავსე იყო იდეოლოგიითა და პროპაგანდით და ფაქტობრივად შეიცავდა არაზუსტ ინფორმაციას. მოგვიანებით საბჭოთა ხელისუფლების ღია პოლიტიკამ და განხორციელებულმა ცვლილებებმა სისტემა უფრო მოქნილი გახდა. საბჭოთა კავშირის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე, სკოლებში უკვე აღარ იყო სავალდებულო მარქსისტ-ლენინური თეორიების სწავლება.

თავად სტრუქტურა მოიცავდა სამ საფეხურს: ელემენტარული მოსამზადებელი სკოლა, საშუალო სკოლა და უმაღლესი სსწავლებელი. არსებობდა ასევე საშუალო სპეციალიზებული განათლება. 1981 წლიდან სრული საშუალო განათლება (10 ან ზოგიერთ რესპუბლიკაში 11 წელი) ყველასათვის სავალდებულო იყო.

რომანში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ საბჭოთა განათლების სისტემა აღმოსავლეთშიც დიდი მონონებით სარგებლობდა:

„კულტურის მრჩეველმა თქვა, რომ ორ ქვეყანას შორის კულტურულმა შეთანხმებამ ეგვიპტელი სტუდენტები გაანთავისუფლა საბჭოთა კავშირის ისტორიის, მატერიალური ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიკისა და მსოფლიო კომუნიზმის სწავლებისგან. ეგვიპტელმა წარმომადგენლებმა ტაში დაუკრეს. მან განაცხადა, რომ საბჭოთა განათლების სისტემა, მსოფლიოში საუკეთესო განათლების სისტემაა. სკოლაში შესვლიდან ათი წლის შემდეგ მოსწავლე ამთავრებს საშუალო სკოლას, რომელსაც არ აქვს დანებებითი ან სხვა მოსამზადებელი ეტაპი. არ არსებობს ცალკე სამეცნიერო სპეციალიზაცია, ლიტერატურული, სპორტული, სასოფლო სამეურნეო, სამრეწველო ან კომერციული. არამედ ყველანი იღებენ ერთ დიპლომს ისე, რომ არ არსებობს კერძო გაკვეთილები.“ (გვ. 145)

სოციალური პოლიტიკის თავლსაზრისით მართალია საბჭოთა კავშირმა რამდენადმე აღმოფხვრა რუსეთის იმპერიაში არსებული უნიგნურობა, ყურადღება მიექცა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარებას, მაგრამ ამასთან მკაცრ იდეოლოგიურ ჩარჩოებში მოექცა ლიტერატურა და ხელოვნება. დამკვიდრდა ტერმინი „სოციალისტური რეალიზმი“, როგორც სტილი და მეთოდი ხელოვნებასა და ლიტერატურაში, რომელსაც უნდა აესახა პარტიისთვის სასურველი, თუნდაც არარსებული „სინამდვილე“.

ხელოვანებს, რომლებიც თავიანთ ნაშრომებში ასახავდნენ „საბჭოთა ღირებულებებს“, ხდებოდნენ მაღალანაზღაურებადი, ელიტარული წრის წევრები, რომელთაც ჰქონდათ იოლი ცხოვრება და მაღალი სოციალური სტატუსი.

საბჭოთა	ხელისუფლება	„რკინისფარდას“
უცხოთვალისგანგულმოდგინედიცავდადაცდილობდა,		
ქვეყნისრეალურიმდგომარეობაარავისდაენახა.	ბუნებრივია,	„ფარდის“
მიღმარცსაკუთარმოქალაქეებსუშვებდნენ,	რომკაპიტალისტურიპროპაგანდისგანდაეცვათ,	
თუმცაზოგიერთიცილობილიადამიანიმინცახერხებდაქვეყნიდანწასვლას.		მათშორის,

ერთნიახალ,

ღირსეულცხოვრებასინყებდნენ,

მეორენიკიდეპრესიაშივარდებოდნენდაუსახელოდამთავრებდნენცხოვრებას.

მთხრობელი ახსენებსვლადიმერ მაიაკოვსკის და მის ლექსებს ლენინზე და საბჭოთა პასპორტზე. ეს ლექსებისაბჭოთა კავშირში წლების განმავლობაში სასკოლო პროგრამით ისწავლებოდა. მაიაკოვსკს ბევრი საბჭოთა იდეოლოგიის მეხოტბედ თვლის და თვლიდა, მაგრამ მაშინდელი მრავალი გენიალური პოეტისთვის, გალექსილი ლენინიც და „პასპორტიც“ - კეისრისთვის გადახდილი „ხარკი“ იყო და სხვა არაფერი.

*„მკითხა, მაიაკოვსკის შესახებ თუ გავივიაო. ვუთხარი, პოეტი, რომელმაც თავი მოიკლა-მეთქი. თქვა, რომ დღეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა. მისი პოემებიდან რუსულ ენაზე, ლენინზე და სამშობლოზე რამდენიმე ნაწყვეტი გაიმეორა: „ჰეი, სამყაროვ, შემომხედე და შეგშურდეს ჩემი, მე ხელთ მაქვს პასპორტი საბჭოთა კავშირის“. მერე კომენტარი გააკეთა: ახლა კი ყველას გასამგზავრებელი პასპორტი უნდა.“ (გვ.106)*

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მისი შექმნიდან მალევე იქცა სახელმწიფოდ, სადაც ცენზურა ოფიციალურად დაკანონდა. ოფიციალური ცენზურა პირველ რიგში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას შეეხო. მედიასთან ერთად კონტროლის მსხვერპლი გახდა ლიტერატურა, თეატრი, კინო, მუსიკა. ცენზურის პირობებში საბჭოთა მოქალაქეებს კლასიკად ქცეული ლიტერატურის კითხვა არ შეეძლოთ. აიკრძალა მრავალი წიგნი და პიესა.

რომანის პერსონაჟები კითხულობენ და განიხილავენ ისეთი დიდი მნიშვნელობისმქონე მწერლების ნაწარმოებებს, როგორებიც იყვნენ : ისააკ ბაბელი <sup>14</sup> ალექსანდრე სოლჟენიცინი<sup>15</sup>, არტურ კოსტლერი<sup>16</sup>, ევგენი ევტუშენკო<sup>17</sup>.

---

<sup>14</sup> ისააკ ემანუელის ძე ბაბელი. ფსევდონიმი ვ. ლიუტოვი – რუსი (ებრაელი) მწერალი (1894- 1940 წწ). ბაბელის მიერ ნაშრომებში გადმოცემული ამბები, განსხვავდებოდა იმ ლამაზი ლეგენდისაგან, რომელსაც საბჭოთა პროპაგანდა თხზავდა. გაუმართლებელი სისასტიკე, ცხოველური ინსტიქტები ჩრდილავდნენ იმ იმედს, რომელსაც მწერალი რევოლუციაში ხედავდა. წითელმა მეთაურებმა მწერალს წითელ არმიამ ჩირქის მოცხება არ აპატიეს და მასზე შეურიგებელი დევნა დაიწყო. 1939 წლის მაისის ბოლოს, პერედელკინოში, აგარაკზე ისააკ ბაბელი დააპატიმრეს. მწერალი ბრალდებული იყო ანტი საბჭოთა

„ირმამ ფოტოალბომი და პოეტური კრებული მოგვიტანა. კრებულის ავტორი ისააკ ბაბელი იყო, რომელიც 1939 წელს „ლუბიანკაში“ - საბჭოთა უშიშროების შენობაში იქამდე აწამეს, ვიდრე არ აიძულეს დაედანაშაულებინა საკუთარი მეგობრები. ბოლოს მან თავისი „აღიარება“ უარყო და მომდევნო წელს სტალინის ბრძანებით ჯაშუშობის ბრალდებით დახვრიტეს. მისი უდანაშაულობის შესახებ ცნობილი გახდა მხოლოდ 1954 წელს, საბჭოთა დიქტატორის გარდაცვალების შემდეგ.“ (გვ.36)

შემდეგი სცენა კი ვითარდება ასე:

„ირმას დედას არ მოეწონა ჩვენი საუბარი. ირმამ კი ცინიკურად შემოსძახა: დიდებული სტალინი მუდამ იცოცხლებს; სტალინი საბჭოთა ხალხის მამა და მასწავლებელია; ის არის მთამაკონებელი და ორგანიზატორი კომუნიზმის გამარჯვებისა; ის მთელი მონინავე კაცობრიობის ბელადია. დედამ თქვა, რომ სტალინის დროს ყველგან სისუფთავე იყო, ახლა კი, საითაც გაიხედავ ყველგან ალკოჰოლი, კანონდარღვევა და ნარკოტიკები. კაცები ცოლებს ურტყამენ და სიკვილის პირამდე მიჰყავთ, საერთო საცხოვრებლებში ჩხუბობენ. მივხვდი, რომ ეს იყო მუდმივი ბრძოლა ორ პიროვნებას შორის.“ (გვ.36)

---

ქმედებაში და ტერორისტული აქტების მოწყობის მომზადებაში. წამების ქვეშ ბაბელმა მრავალი ცრუ ჩვენება მისცა, მაგრამ, უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის ბოლოს სხდომაზე მწერალმა ყველა წინა ჩვენება უარყო. 1940 წლის 27 იანვარს ისააკ ბაბელი დახვრიტეს. სხეული კი ღონის მონასტრის კრემატორიუმში დაწვეს.

<sup>15</sup> ალექსანდრე სოლჟენიცინი - რუსი მწერალი, პუბლიცისტი და საბჭოთა დისიდენტი. ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში(1970) . 1945 წელს დააპატიმრეს პირად საუბარში სტალინის კრიტიკისთვის. სოლჟენიცინმა საერთაშორისო საზოგადოებას პირველად ამცნო გულაგის არსებობის შესახებ და წარმოუჩინა მდგომარეობა საბჭოთა ბანაკებში. *არქიპელაგ გულაგის* გამოქვეყნების შემდეგ (პარიზი 1973წ) სოლჟენიცინს ჩამოართვეს საბჭოთა მოქალაქეობა და ქვეყნიდან გააძევეს.

<sup>16</sup> არტურ კოსტლერი ( 1905-1983) ბრიტანელი მწერალი და ჟურნალისტი. 1940 წელს გამოაქვეყნა ნოველა „წყვდიადი შუადღისას“. ეს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ანტი-საბჭოთა წიგნი ამ თემაზე ოდესმე დაწერილ წიგნებს შორის. ბუნებრივია საბჭოთა კავშირში წიგნი აკრძალული ლიტერატურის სიაში მოხვდა. კოსტლერს ასევე ეკუთვნის წიგნი „საბჭოთა ხუთწლიანი გეგმა“, რომელიც ასევე აკრძალა საბჭოთა ხელისუფლებამ და რუსულ ენაზე არასდროს გამოქვეყნებულა.

<sup>17</sup> ევგენი ევტუშენკო (1932-2017) - საბჭოთა და რუსი პოეტი. საბჭოთა პერიოდში გამოდიოდა დისიდენტების , იოსებ ბროდსკის, ალექსანდრე სოლჟენიცინის და იული დანიელის დაცვით. ის იყო *ხრუშოვის დათბობის* პერიოდში მოღვაწე პოლიტიკურად აქტიურ ავტორთაგან ერთ-ერთი. ხრუშოვის დროს საბჭოთა კავშირში რეპრესიები და ცენზურა საგრძნობლად შერბილდა.

რომანში ირმასა და დედამისის მაგალითზე ვხედავთ, თუ როგორ სძულს და მასხრად იგდებს ახალგაზრდა თაობა არსებულ რეჟიმს, ხოლო დედა კი ისევ ერთგული კომუნისტია. რის გამოც დედა-შვილს შორის მუდმივი ომია.

შემდეგი აკრძალული ლიტერატურა, რომელსაც მთხრობელი კითხულობს, არტურ კოსტლერის ნოველია:

*„მატარებელში წავიკითხე რამდენიმე გვერდი არტურ კოსტლერის ნოველიდან „წყვდიადი შუადღისას“, რომელიც საბჭოთა კავშირმა გააკრიტიკა და მისი ხელში ჩაგდება პანსის მეშვეობით შეეძელი.“ (გვ. 38)*

*„ჰამიდმა „ლიტერატურული გაზეთის“ რამდენიმე ძველი ნომერი მომცა. მასში მემბოხე პოეტის, ევგენი ევტუშენკოს რამდენიმე ლექსი იყო თავმოყრილი სათაურით „ლექსები იმედის კონტინენტიდან“. ჰამიდმა თქვა, რომ როგორც იქნა ხელისუფლებამ მას ნება დართო ან თავად ის არის ხელისუფლებით კმაყოფილი. გაზეთის სპეციალურ კორესპონდენტადაც კი დაინიშნა და წელიწადში რამდენიმე თვეს ლათინურ ამერიკაში ატარებს.“ (გვ. 86)*

მე-20-ე საუკუნის სამოციან წლებში საბჭოთა კავშირში დაიწყო ე.წ. დისიდენტური მოძრაობა. ცივი ომის პერიოდში დისიდენტებად ითვლებოდნენ პიროვნებები, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ გაბატონებული იდოლოგიის პოლიტიკურ დოგმატიკას. მათი ბრძოლის მეთოდები მშვიდობიანი იყო. ტოტალიტარულ სისტემაში სახელმწიფოს მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მონოპოლიის გამო, დისიდენტებს თავიანთი შეხედულებების ღიად და დაუფარავად გამოთქმის საშუალება არ ჰქონდათ. ამდენად დისიდენტები მიმართავდნენ პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურის გავრცელებას თვითგამოცემების სახით.

ამ დროის ყველაზე ცნობილი დისიდენტები საბჭოთა კავშირში იყვნენ ალექსანდრე სოლჟენიცინი და ანდრეი სახაროვი<sup>18</sup>. რამდენადაც ისინი აღნიშნული ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პიროვნებები იყვნენ, „ყინულის“ პერსონაჟებიც საუბრობენ მათზე. მთხრობელი *შუერი* კი სოლჟენიცინის მიერ გამოქვეყნებულ და საბჭოთა კავშირში აკრძალული ლიტერატურის კითხვასაც ახერხებს:

*„ჩემს ოთახში დავბრუნდი და სოლჟენიცინის ნოველის „კობოს საკანი“-ის კითხვა დავიწყე.“ (გვ.46)<sup>19</sup>*

*„მათ ვუამბე, იმის შესახებ თუ რას გადმოსცემდა სოლჟენიცინი იმ აღმფოთებული ხალხის შესახებ, რომელთაც სტალის დროს ლენინგრადიდან გადასახლებულთა შვილები წერილებით ეხმაურებოდნენ.“ (გვ.47)*

*„გაზეთ იზვესტიაში დისიდენტების სასამართლო პროცესიდან საუბრებში ნათქვამია, რომ არსებობს კავშირი ალექსანდრე სოლჟენიცინსა და საიდუმლო გაზეთს შორის, რომელიც აქვეყნებს ოპოზიციურ ამბებს.*

*ასევე ნათქვამია ოთხი უცხოელი ჟურნალისტის სახელი, რომლებიც დახურულ სასამართლო პროცესზე წარსდგნენ, ორმა ბრალდებულმა კი დანაშაული აღიარა. მათგან ერთი ისტორიკოსია, ხოლო მეორე ეკონომიკური მკვლევარი და ისინი არიან საზღვარგარეთ ანტი-საბჭოთა დაჯგუფებების აგენტები. და რომ ისინი არიან „მიმდინარე მოვლენათა ჩანაწერები“-ს გამომცემლები, რომელიც წარმოადგენს ახალი ამბების საიდუმლო ბეჭდურ პუბლიკაციას. ეს უცხოელი ჟურნალისტები არიან „Newsweek“<sup>20</sup>-ის და*

---

<sup>18</sup>ანდრეი დიმიტრის ძე სახაროვი (1921-1989) -საბჭოთა ფიზიკოსი, დისიდენტი და ადამიანთა უფლებების აქტივისტი. 1975 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში.

<sup>19</sup>„კობოს საკანი“ რუსლ ენაზე გამოქვეყნდა *სამიზდატის* პერიოდში და რამდენიმე წლის განმავლობაში აკრძალულ ლიტერატურად ითვლებოდა. ნოველა მოგვითხრობს 1955 წელს ცენტრალურ აზიაში სიმსივნით დაავადებულთა ჰოსპიტალის მე-13-ე პალატაში განთავსებული პაციენტების შესახებ. პერსონაჟთა შორის არიან ისინი, ვინც სტალინიზმიდან სარგებელი მიიღო, ასევე ისინი, ვინც წინ აღუდგა მას და ისინიც, ვინც რეჟიმს უსიტყვოდ დანებდა.

<sup>20</sup>ამერიკული ყოველკვირეული საინფორმაციო ჟურნალი. დაარსდა 1933 წელს.

„Associated Press“<sup>21</sup> -ის კორესპონდენტები. ასევე გამოვლინდა კავშირის შემთხვევები ბრალდებულებსა და „ანტი-საბჭოურ უცხოურ ცენტრებს“ შორის.

ასევე ნათქვამია, რომ ფიზიკოსი მახაროვი დამნაშავეებს ხვდებოდა უცხოელი ჟურნალისტების მიერ გამართულ წვეულებებზე.“ (გვ. 114)

„გაზეთმა „იზვესტიამ“ გამოაქვეყნა ღია წერილი, სადაც 31 ცნობილი მწერალი აკრიტიკებს სოლჟენიცინს და მახაროვს. პეტიციაზე ხელის მომწერებს შორის არიან შოლოხოვი, ავტორი წიგნისა „წყნარი დონი“, ასევე სიმონოვი და აიტმატოვი.“ (გვ.115)

„მომდევნო დღის გაზეთში ნათქვამია, რომ მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ბრალდებულთათვის სასჯელის შემსუბუქება იმის საფუძველზე, რომ ისინი ჩადგებიან სახელმწიფოს სამსახურში. ასევე ნათქვამია, რომ მათი გულწრფელი მონანიების გამო მათ მიესაჯათ სამი წლით პატიმრობა და შემდეგი სამი წელი გადასახლება. გადასახლებაში კი იგულისხმება შინა პატიმრობა ქვეყნის შორეულ ნაწილში.“ (გვ. 115)

ჟურნალ-გაზეთებში ღიად აკრიტიკებდნენ ოპოზიციურად განწყობილ ხელოვანებსაც :

„ვლადიმერმა თქვა, რომ ჟურნალი „საბჭოური კულტურა“ , რომელიც არის პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ჟურნალი, გააკრიტიკა ახალგაზრდა კინო ვარსკვლავი და მსახიობი ვლადიმერ ვისოცკი, რომელმაც ახალგაზრდებს შორის პოპულარობა მოიპოვა თავისი ჩახლეჩილი ხმით და ოპოზიციური სიმღერებით, სადაც დასცინის საბჭოთა სისტემას.“ (გვ.51)

წნეხის ქვეშ იყო ხელოვნების ყველა დარგი. რადგან საბჭოთა მთავრობას სჭირდებოდა მხოლოდ ბედნიერ და უზრუნველ მომავალზე ორიენტირებული ხელოვნება, რომელშიც რეალობის ანალიზს წარმატებით ჩაანაცვლებდა კომუნიზმისა და პარტიის რწმენა.

---

<sup>21</sup>აშშ-ს არაკომერციული საინფორმაციო სააგენტო. დაარსდა 1846 წელს.

ხელოვნებას კი არ უნდა წარემართა ერის სულიერი ცხოვრება, არამედ პარტიის პოლიტიკას უნდა დაედგინა და განესაზღვრა ხელოვნების ქმნილებების ფორმა და შინაარსი.

1950-იანი წლებიდან ხელოვნების განვითარება რამდენადმე გადავიდა აშკარა განვითარების სტადიაში. თუმცა ჭეშმარიტ კულტურულ ფასეულობებთან დაბრუნების პროცესს ჰქონდა მეტისმეტად დამუხრუჭებული და წინააღმდეგობრივი ხასიათი. პარტიული აპარატი ხან აღუწებდა ყურადღებას, ხანაც მთელი ძალით აგრძელებდა ზეწოლას ხელოვნებასა და ლიტერატურაზე.

ეს პრობლემა „ყინულის“ ავტორმა ასახა მოსკოვში ერთ-ერთ მხატვართან შეხვედრით, რომელიც განიცდის, რომ მისგან ვერასდროს დადგება ჭეშმარიტი ხელოვანი, რადგან მას არ აქვს საშუალება გაარღვიოს ცენზურის მარწუხები და დახატოს ის, რასაც მას შინაგანი ბუნება კარნახობს :

*„შემოვიდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც სიმთვრალისგან ბარბაცებდა. ჰანსმა თქვა: ეს ბორისია, მხატვარი. მან შამპანურის ჭიქა დაცალა და თქვა: იმედი აღარ მაქვს რომ ჩემგან კარგი ხელოვანი დადგება, მე უფლება მაქვს დავხატო მხოლოდ ის, რაც ოფიციალურ ორგანოებს დააკმაყოფილებს.“ (გვ.135)*

საბჭოთა ხელისუფლება კრძალავდა და სხვადასხვა ხერხებით ცდილობდა ისეთი რადიოტალღების ჩახშობას, რომლებიც ანტისაბჭოურად აღიქმებოდა. ესენი იყო ამერიკის ხმა, რადიო თვისუფლება, ისრაელის რადიო და სხვ. მოსახლეობას არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოესმინა იმ „ანტი-საბჭოთა პროგრამებისთვის“, რომლებსაც ახშობდნენ. მაგრამ, როგორც ირკვევა, ცოტამ თუ შეძლო გაეძლო ცდუნებისთვის.

იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა კავშირი წარმატებით ახერხებდა თავისი მოქალაქეების მტრული პროპაგანდისგან „დაცვას“, გარკვეულ ადგილებში რადიო

პროგრამების მოსმენა მაინც იყო შესაძლებელი. საბჭოთა დისიდენტები უცხოური პროგრამების მოსმენისას ჩანაწერებს აკეთებდნენ და საიდუმლოდ ავრცელებდნენ. ამ და სხვა მსგავსი აქტივობებისთვის სასჯელი ხშირად ციხე იყო.

„ყინულის“ პერსონაჟებიც, საერთო საცხოვრებელში მალულად ახერხებენ რადიო ამერიკის ხმის მოსმენას :

*„მას შემდეგ რაც კარები კარგად ჩაკვეთეთ, რადიო ამერიკის ხმას მოვესმინეთ.“ (გვ. 207)*

## თავი IV

### როგორ მუშაობს „კაგებე“

საბჭოთა კავშირის მთავარი უსაფრთხოების სამსახური 1954 წლიდან 1991 წლამდე იყო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, იგივე „კაგებე“ , რომელიც ერთდროულად პასუხისმგებელი იყო შიდა უსაფრთხოებაზე, საბჭოთა კავშირის საზღვრის, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობისა და ქვეყნის მთავრობის დაცვაზე. ამასთან, დიდი იყო მისი გავლენა სამოქალაქო ცხოვრებაზეც.

თავისი სადაზვერვო ოპერაციებისთვის კაგებე ქმნიდა როგორც ლეგალურ, ისე საიდუმლო ორგანიზაციებს. მათი აგენტები ხშირად იყვნენ ბიზნესმენები, ჟურნალისტები, ბევრი კი დიპლომატიურ საფარს იყენებდა.

1960-იანი წლების ბოლოდან ზედამხედველობის მიზნით შეიქმნა დამატებითი დირექტორატი, რომელთაც უნდა განეხორციელებინათ მოსახლეობის თვალთვალი.<sup>22</sup>

კავებეს საქმიანობა აისახა „ყინულშიც“. მათი საიდუმლო აგენტები არიან ყველგან, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, ქუჩაში...

„უკან დაბრუნებისას შევამჩნიე გრძელ სამხედრო ქურთუკში ჩაცმული ორი პოლიციელი, რომლებიც მეტროსადგურში ვარს მივლიდნენ. მკლავში ჩამავლეს, შევეცადე წინააღმდეგობა გამეწია მაგრამრეაგირება არ ჰქონიათ. ძალადობრივად მიმიყვანეს გვერდზე ოთახამდე. სამუშაო მაგიდასთან ოფიცერი იჯდა, მის გვერდით კი დაახლოებით 40 წლის მამაკაცი, აღელვებული და შეშინებული სახით. ოფიცერმა პირადობის დამადასტურებელი ბარათი მომთხოვა და მივანოდე. ქალაქში მონაცემები ჩაინიშნა და მასზე ხელმოწერა მომთხოვა. მივხვდი, რომ ეს იყო მოწმობა იმ ნივთებისა, რაც ჩხრეკის შედეგად მამაკაცის ტანსამელში იპოვეს: გასაღებების ასხმა, უბის წივნაკი, მედალი, ცხვირსახოცი, ერთი კოლოფი რუსული სიგარეტი და ასანთი. ყველა ეს ნივთი მაგიდაზე იყო დაგროვილი. ქალაქის ხელი მოვანერე და წამოსვლის ნება დამრთეს.“ (გვ. 63)

„უცხოელთა საქმეზე პასუხისმგებელმა ხელმძღვანელმა დამიბარა. მაღალი იყო, ძლიერი აღნაგობის, ჭაღარანარევი თმებით. როგორც ამბობდნენ, უშიშროების კაცი იყო. მომესალმა და თავისი ოთახის კუთხისკენ წამიყვანა. პატარა მაგიდასთან დავსხედით. გაღიმებულმა მკითხა: ამ ფოტოებზე რას მეტყვი? ( გულისხმობს ამერიკული ფლეიობილიდან ამოჭრილ ფარაონთა ეროტიკულ ფოტოებს, რომლებიც მთხრობელმა შუქრიმ საერთო საცხოვრებელში კედელზე გააკრა. (ჩემი შენიშვნა, თ.გ.)) როგორც ვავიგე თქვენ ისინი აღარ გჭირდებათ. ვუთხარი: ეს იყო ძველ ქანდაკებათა თაყვანისცემის შერყევის მცდელობა და მათი დანახვა თანამედროვე პერსპექტივიდან. მკითხა: და ამოჭრილი ვაზეთები? ვთქვი: ისინი ისტორიის შესახებ ჩემი კვლევის ნაწილია. ლურჯი

<sup>22</sup> Paul Partner, (26 July, 2018) The history of the KGB and its legendary methods <https://bigthink.com/paul-ratner/what-was-the-kgb-and-why-did-it-terrify-the-world>

თვალეებით გულდასმით დამაკვირდა და თქვა: ახლა ოთახში ორნი ხართ. სისხლი სახეზე შემომანვა და ვთქვი: არა, ოთხნი ვართ. თქვა: ჰამილი და ფარიდი ვარეთ რჩებიან. ვუთხარი, რომ ხანდახან. ეგვიპტეში არსებულ ვითარებაზე მკითხა და შეხვედრაც დასრულდა. გავედი და ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე ვფიქრობდი. ნუთუ ეს იყო გზავნილი ჩემს მიმართ, იმის ნიშნად, რომ მან ჩემს შესახებ ყველაფერი იცის? და რა არის ამ ინფორმაციების წყარო? გონებაში გადავამოწმე ყველა, ვინც კი ოთახში ხშირად შემოდიოდა. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ნებისმიერი მათგანი, ბიჭი ან გოგო. შეხვედრის დეტალებზე ჰანსს ვუამბე. კომენტარი არ გაუკეთებია.“ (გვ. 197)

„სტუდენტები გააფრთხილეს, რომ მათი რუსი კოლეგები იწერენ ინფორმაციას ყველა უცხოელის ქცევის, ეთიკის და საერთო მონაცემების შესახებ, რომელსაც შემდეგ წარუდგენენ უშიშროების აპარატებს.“ (გვ.145)

## თავი V

### „ყინულში“ ასახული ქართული სინამდვილე

რომანში გვხვდება რამდენიმე პასაჟი, სადაც ავტორი განიხილავს ქართულ ფილმებს, ქართულ სამზარეულოს, გაიცნობს და ახასიათებს ტიპიურ ქართველ ქალებს. რომანის პირველივე გვერდებზე კი მისი საქართველოსთან შეხება იწყება ქართული ჩაის დაგემოვნებით.

XX საუკუნეში ქართული ჩაით მთელი საბჭოთა კავშირი მარაგდებოდა. ისიც ცნობილია, რომ ის განსაკუთრებული ხარისხით ვერ დაიკვეხნიდა, რადგან ყურადღება რაოდენობას

უფრო ექცეოდა, ვიდრე ხარისხს. თუმცა, რომანში ვხედავთ, რომ არაბი ავტორი ქართულ ჩაის დადებითად აფასებს და მას „საუცხოოს“ უწოდებს.

*„საერთო სამზარეულოში სამი კვერცხი მოვიმზადე. მივირთვი, მერე კი საუცხოო ქართული<sup>23</sup> ჩაი დავაყოლე.“ (გვ.10)*

შემდეგი საკითხი რომანში ქართული სინამდვილის ასახვისა, ეს არის განხილვა ქართველი რეჟისორის, ოთარ იოსელიანის ფილმისა „იყო შაშვი მგალობელი“. არც ამ ფილმის ხსენება უნდა იყოს რომანში შემთხვევითი. ფილმში 70-იანი წლების სინამდვილეა ასახული. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოთა კავშირში არსებული ვითარებასათქმელის გახსნილად თქმის საშუალებას არ იძლეოდა, ხელოვანები იძულებული ხდებოდნენ გამოეყენებინათ სათქმელის შეფარვის, მეტაფორებით მეტყველების ხერხი.

„იყო შაშვი მგალობელი“ ეს არის ფილმი არშემდგარ ხელოვანზე, რომელიც ცდილობს ერთდროულად რამდენიმე საქმე აკეთოს, მაგრამ არც ერთი მათგანი ბოლომდე არ მიჰყავს და გამოდის, რომ მისი ცხოვრება მხოლოდ უაზრო დროის კარგვაა. „უაზროდრო“ – „უაზროსინამდვილე“ იყო, საიდანაც გარბოდა ოთარ იოსელიანის გმირი – გარბოდა ყველასგან, და, ამავედროს, ყველასთან იყო. „უაზრო დროის კარგვაში“ რა თქმა უნდა 70-იანი წლების სინამდვილე იგულისხმება.

ფილმში ხელოვანი წარმოდგენილია არა როგორც ხალხის რჩეული ( სწორედ ასე იხატებოდა შემოქმედის სახე საბჭოთა კულტურაში), არამედ ჩვეულებრივი ადამიანი, რომლისთვისაც ხელოვნება არა მარტო ბედნიერება, არამედ მძიმე ჯვარიცაა.

---

<sup>23</sup>აღსანიშნავია, რომ ავტორი ქართულის აღსანიშნავად ყველა შემთხვევაში იყენებს სიტყვას „გრუზინი“ الجورزيني, შემდეგ ფრჩხილებში წერს الجيورجي. ზოგჯერ კი უკეთებს განმარტებას, რომ იგულისხმება ერთ-ერთი საბჭოთა რესპუბლიკა.

ფილმის მთავრ გმირს, გიაალლაძესარცერთისაქმებოლომდენარმიჰყავს, რადგანსაქმისდასასრულითავისთავადნიშნავსსიცოცხლისშენწყვეტას, თუგნებავთ “უძრავისხანის” დანყებას. ოთაროსელიანისფილმისეკრანებზეგამოსვლიდან 30 წლისშემდეგახალგაზრდამუსიკოსისგანუწყვეტელიარსებობაუსასრულობაშიკითხებაროგორცჩაკეტილობიდანთავისდაღწევა, ხელოვანიადამიანისმუდმივითვითდამკვიდრება.გიაალლაძემხოლოდ “ამწამში” ცხოვრობს, იგი, ერთიკრიტიკოსისმშვენიერიგანსაზღვრებისაარიყოსროგორც “ესთეტიკურიადამიანი”, არიქცევაპრაქტიკულადამიანად, რომელიც “უძრავას” ეგუებადამარიონეტადიქცევა.გიაალლაძეარსებობსხოლოდთავისუფალურთიერთობაში, რომელიცმადლიაადამიანებისთვისდაბედნიერებახელოვნებისთვის. საქართველოში, იმხანად, როცათაროსელიანი “შაშვს” იღებდა, მუავანაძისეპოქადასასრულსუახლოვდებოდა. სწორედიმმუავანაძისა, რომელმაცპირადადაკრძალაიოსელიანის “გიორგობისთვე”, დამხოლოდმასშემდეგ, რაცსურათიმოსკოვშიმიიღეს, ეკრანებზედაუშვა. პრინციპში 70-იანიწლებისდასაწისშისაქართველოშიუკვეიყო “ზასტოი”, ანუ “უძრავისეპოქა”. იოსელიანიმაფილმისათისციფერბლატითდაამთავრა. ერთადერთიახლოხედით, რომელიცგიასდალუპვისშემდეგაჩნდებაეკრანზე. გამოდის, რომუსასრულობაში, ანუედროობაშიცხოვრებიმუსიკოსისსიკვდილი – მსხვერპლადშენირვიაყო.

1971 წელს, როცა “იყომაშვიმგალობელი” ეკრანებზეგამოვიდადაროცადინყოკამათითავადიოსელიანისპოზიციებზე, მხოლოდერთმა, ისიცმოსკოველმაკრიტიკოსმაალნიშნა, რომამფილმითქართველმარეჟისორმახელოვნებისგარკვეულიკონცეფციამამოხატა: კინემატოგრაფი, მუსიკა, საერთოდ, ხელოვნებისყველაღარგი, დათუგნებავთიდიალურიქართულისუფრა, ტერორისტითამადისგარეშე, არისთავისუფალურთიერთობაადამიანსადაადამიანსშორის, თანასწორობისადათანაარსებობისსაფუძველზე,

პროფესიონალური მშენებლობის დასაზღვრების გარეშე.

ხელოვნება არ უნდა იდგეს სინამდვილეზე მაღლა.

ხელოვნება სინამდვილეს უნდა ერწყმოდეს.

მოსკოველი ინტელექტუალების წორედამანაღათოვანათილმშიყველაზე მეტად.

იმხანად მათსპექტაკლები დაუხურეს, ფილმებითაროებზე შემოუნყვეს,

რომანები აუკრძალეს. ურთიერთობა, სწორედ ის ურთიერთობა,

რომელსაც იოსელიანის ფილმში თბილისის ცენტრში ვხედავთ,

მათხოლოდ მოსკოვის სამზარეულოებში შეეძლოთ.

აქისინი მაღალი დეალებზე საუბრობდნენ, ან, უბრალოდ,

საბჭოთა კავშირიდან გასამგზავრებლად ემზადებოდნენ.<sup>24</sup>

*„საუბრის თემის შეცვლა ვცადე და ვკითხე, ნანახი თუ ჰქონდა ქართველი რეჟისორის ოთარ იოსელიანის ფილმი „იყო შაშვი მგალობელი“. თქვა, რომ სასიამოვნო ფილმია, თუმცა ინტელექტუალური ნაკლოვანებებიც აქვსო. რეჟისორს პირადად ვიცნობო, დაამატა. ჰამიდმა თქვა, რომ მისი მეორე ფილმი, რომელიც სტალინს ეძღვნებოდა, 63-ში გამოსვლისთანავე აიკრძალა და გასაოცარია, რომ ახლა პატარა კინოთეატრებში აჩვენებენო. ვალიდმა თქვა, რომ რამდენიმე დღის წინათ რეჟისორთან იყო და მასაც აცნობა ამის შესახებ. რეჟისორი თავის რამდენიმე მეგობართან ერთად ფილმის სანახავად წავიდა და სწორედ მაშინ აღმოაჩინა, რომ ხელისუფლებას ფილმის რამდენიმე ნაწილი ამოეჭრა.“ (გვ. 28)*

ზემოთ უკვე ვახსენე, რომ საბჭოთა კავშირში წარმოების ხარისხზე უფრო მნიშვნელოვანი და გვემილი რაოდენობრივი მაჩვენებლის მიღწევა, ანუ „გეგმის შესრულება“ იყო. ამიტომ, რა თქმა უნდა შემთხვევითი არ არის, რომ „ყინულში“ ავტორი განიხილავს ქართველი რეჟისორის ოთარ იოსელიანის ფილმს „გიორგობისთვე“, ფილმის სიუჟეტიც სწორედ ამ საკითხზეა აგებული. ნიკოსდაოთარს სამუშაო დღის ქარხანაში გაანაწილებენ.

<sup>24</sup> გახარია გ., ოქროს საუკუნე, 10 დეკემბერი, 2010 <https://www.radiotavisupleba.ge/a/1517468.html>

კარიერისტიკითარითავიდანვეუფროსობისმამებლობისგზასაირჩევს.

მისგანგანსხვავებით,

ნიკოქარხნიდანკერძოპირთამიერღვინისუკანონოდგატანასდაგეგმისშესასრულებლადუხა  
რისხოღვინისჩამოსხმასვერეგუება.

როდესაცდაუდუღებელიღვინისსარეალიზაციოდჩამოსხმასდააპირებენ,

ნიკოღვინისმთელპარტიაშიჟელატიწაასხამსდაგეგმასჩაშლის.

ქარხნისღირეცქიაალშფოთდება, მაგრამნიკოსდასჯასვერგაბედავს.

ფილმი გადაღებულია 1966 წელს. ეს ფილმი დაიწუნა საბჭოთა კრიტიკამ და მას უწოდა ანტისაბჭოთა პასკვილი, რომელიც ქართულ ტრადიციებს ამახინჯებდა.

„საბჭოთა საქართველოს ყველაზე დიდი მტრებიც, უკიდურესად რეაქციონერი ადამიანებიც კი, ვერ მოახერხებდნენ ასეთი პასკვილის შექმნას,“ -წერდა ზუსტად 40 წლის წინ გაზეთი „სოფლის ცხოვრება“ ოთარ იოსელიანის ფილმზე „გიორგობისთვე“... და არა მარტო ეს გაზეთი - „გიორგობისთვეს“ ყველა მხრიდან შეუტიეს და კინოთეატრების ღირეცქიას იოსელიანის ფილმის ჩვენება აუკრძალეს. ქართული კინოს ამ ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული ფილმის ისტორია - ჩვენი ქვეყნის ისტორიაა.<sup>25</sup>

ფილმის განხილვამდე რომანის პერსონაჟები საუბრობენ ძალიან დაბალი ხარისხის იმპორტულ ღვინოზე, რომელიც ადგილობრივი ღვინის წარმოების სიმცირის გამო, საბჭოთა მთავრობას ალჟირიდან შემოჰქონდა, რათა ბაზარზე არსებული მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა.

*„ღვინის ბოთლი გავხსენი და საცობი დაიშალა. ვთქვი: უდავოდ საბჭოური საცობია. ჰამიდმა თქვა: რა თქმა უნდა, მისი შეფუთვა ხომ აქ ხდება. ღვინის იმპორტს ალჟირიდან*

---

<sup>25</sup>გვახარია გ., ფილმი - იუბილარი „გიორგობისთვე“, (9 ოქტ, 2006)

<http://www.radiotavisupleba.ge/a/1549074.html>

ანარმოებენ, კასრებით ან საზღვაო ავზებით. დავლიეთ და გულისამრევად გადამეტებული სიმწარის იყო. ჰამიდმა თქვა: ალჟირელები საუკეთესო ღვინოს საფრანგეთში ყიდიან, დანარჩენს კი აქეთ ავზავნიან. ვთქვი: ვფიქრობ, რომ აქ მასში წყალს ამატებენ. ჰამიდმა დაამატა: და სიბინძურეებს, შეხედე რა ილექება ჭიქის ფსკერზე. ვინახავს ფილმი „ფოთოლუცვენა“<sup>26</sup>, სადაც იმისთვის, რომ გეგმა შესრულდეს, ქარხანაში ხდება ღვინის შერევა. ვთქვი: ვერ ვიხსენებ. მითხრა: ფილმის რეჟისორი არის იოსელიანი, რომელმაც გადაიღო ფილმი „იყო შაშვი მგალობელი“. სიუჟეტი არის ახალგაზრდა, თავაზიან ჭაბუკზე, რომელიც მიიღეს ღვინის საწარმოო ქარხანაში. იქ არის თანამშრომელი გოგონა, რომელსაც მოსწონს მამაკაცებთან თამაში. შემდეგ აღმოჩნდება, რომ ღვინო წყლით არის გაზავებული და ახალგაზრდა ბიჭს ყველა ეუბნება, რომ დირექტორთან დაპირისპირება ხეირს არ მოუტანს. შემდეგ მას ეკეკლუცება გოგონა, რომელიც მას სახლში მიიპატიუებს. სახლის წინ ბიჭს ვიღაც ხულივანი დაართამს, ეს კი გოგონას სიამოვნებს. ბიჭი ჩალურჯებული სახით ქარხანაში მიდის და შეხვდება გოგონას, რომელიც ეცდება მას მოუბოდიშოს. თან მიმავალი ბიჭი გოგონას სახეზე მოუთათუნებს და ეუბნება: არაფერია, გოგონავ. და გვერდზე ჩამოიტოვებს. გაოგნებული გოგო თვალს გააყოლებს. ბიჭი მუშებს უბრძანებს შეწყვიტონ ღვინის ჩატუმბვა და კასრში სპეციალურად ამისთვის განკუთვნილი ნებოვანი მასა ჩაასხან. მერე კი გამოაცხადებს, რომ ამ ღვინის ჩამოსხმა დაუშვებელია.“ (გვ.75)

შემდეგი შეხება საქართველოსთან ეს არის ქართველი ქალი ლამარა, რომელსაც შვილი თბილისში, დედასთან ჰყავს დატოვებული და თვითონ მოსკოვში ცხოვრობს, თუმცა მისი საქმიანობის სფერო გაურკვეველია. მას მთხრობელი კაფეში გაიცნობს და მასთან ხანგრძლივ სასიყვარულო ურთიერთობასაც გააბაძს:

„კაფე ხალხით იყო გადავსებული და თავისუფალი ადგილის მოძებნა გაგვიძნელდა. შევამჩნიე, რომ ორი გოგონა ადგილს ეძებდა. მათ გვკითხეს, თუ ნებას დავვრთავთ

---

<sup>26</sup>რომანში ქართული ფილმის „გიორგობისთვე“ სახელი გადმოცემულია როგორც „ფოთოლუცვენა“ (რუსული სიტყვა „листопад“ არაბული ტრანსლიტერაციით لیسو پاد), მისი რუსული თარგმანის მიხედვით.

შემოვიერთდებითო. რა თქმა უნდა დავეთანხმეთ. გაგვეცნენ. ოც წელს გადაცილებულები იყვნენ. ერთ-ერთი მათგანი ნატაშა, ქერა იყო, ბავშვური სახით. კვების ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი. წითელი კოფთა და შავი შარვალი ეცვა. ხოლო მეორე, ლამარა იყო გამხდარი, ბოშურ სტილში დახვეული თმებით. უილეტი და კაბა ეცვა. ძალიან ემოციური სახე ჰქონდა. თავისი საქმიანობის შესახებ არ გაუმხელია.“ (გვ. 59)

„ლამარამ ვისკი დალია. თქვა, რომ შვილი ჰყავდა, გოგონა, რომელიც დედასთან დატოვა თბილისში, საქართველოს დედაქალაქში.“ (გვ.60)

რომანის პერსონაჟები სტუმრობენ ქართულ რესტორან „არაგვს“, რომელსაც ავტორი მოსკოვის საუკეთესო რესტორანს უწოდებს:

„თქვა, რომ გუშინ ჰასან ალ-სუდანს შეხვდა, ორ თანმხლებ გოგონასთან ერთად. მერე რესტორან „არაგვში“ წავიდნენ, რომელიც საუკეთესო ქართული რესტორანიამოსკოვში. იქ სომხური „ბრენდი“ დალიეს და მიირთვეს შემწვარი ქათამი საცივში, ახალ პომიდორთან, კომბოსტოს მწნილთან და წითელ წინაკასთან ერთად.“ (გვ.72)

შემდეგ მთხრობელი შუქრი და მისი ოთახის მეგობარი გერმანელი ჰანსი ხვდებიან ორ ქართველ გოგონას:

„ჰანსმა ორი ჭიქა ლუდი იყიდა. დავლიეთ, საჭმელი მივირთვით და ვისაუბრეთ იქვე მყოფ ორ ქართველ გოგონაზე: ერთ-ერთი მათგანი მაღალი, ძალიან გამხდარი, შავგვრემანი და უშნო იყო. მეორე კი დაბალი, ხორბლისფერი, ქართული კეხიანი ცხვირით. ჩვენკენ იყურებოდნენ. ჰანსმა თქვა: -წამოდი, გავესაუბროთ. ვთქვი: სავარაუდოდ, შავგვრემანი მე მერვება და არ მიწდა, მეორე კი შენ გინდა, ლამაზი ლამაზს ეძებს.“ (გვ. 140)

## თავი VI

### როგორ ხედავს არაბი დასავლელებს საბჭოთა კავშირის სივრციდან. გერმანელი ჰანსის მაგალითზე

„ყინული“ ჰანსის პორტრეტს ხატავს როგორც წარმატებულ, მაგრამ ძალზე უბედურ მექალთანე პიროვნებას. რომანში ხშირად ვხედავთ, რომ ის თავს არიდებს ხალხის გარემოცვას და სადღაც უჩინარდება ქალთან ერთად, რომლებთანაც ის მუდმივად იმედგაცრუებულია.

რომანში ავტორი განიხილავს ჰანსის ტრაგიკულ წარსულს:

*„ჰანსს თავისი ოჯახის შესახებ ვკითხე. მან თქვა, რომ მამამისის ომში გაუჩინარების შემდეგ, დედამისი ვიღაც ექიმზე დაქორწინდა, რომელთანაც ძალიან უბედური იყო. კაცი ჰანსის მიმართ ძალიან სასტიკი ყოფილა, ამიტომ მიუტოვებია ისინი და გამოექცეულა.“*  
(გვ.83)

შემდეგ ავტორი ჰანსის სიტყვებით გადმოგვცემს რუსი ხალხის დამოკიდებულებას გერმანელებისადმი:

*„რუსებს არ ვუყვარვარ, რადგან მე მათ ნაცისტების მიერ თავიანთ ქვეყანაში ჩადენილ დანაშაულებს ვახსენებ.“ (გვ.147)*

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ რომანის ბოლოს მომსწრენი ვხდებით შემზარავი სცენის ჰანსზე თავდასხმისა, რომელიც ხდება სრულიად უაზრო ახალი წლის ღამეს. მარტოხელა სტუდენტები საერთო საცხოვრებლის დერეფნებში დახეტილობენ და ეძებენ ერთმენეთს, ზოგი საცეკვაოდ, ზოგი სასაუბროდ, ზოგიც დასალევად... ერთ-ერთი სტუდენტს, ნატამას ოთახში რადიო შეაქვს, რათა ერთად მოუსმინონ ბრეჟნევის საახალწლო მილოცვას. მთხრობელი შუქრი მალლა სართულზე ეძებს ჩეხ გრძელფეხება სტუდენტს სვეტლანას, მაგრამ შეიტყობს, რომ ის პრალაში გამგზავრებულია. მოგვიანებით შუქრი ცდილობს თავისი მეგობარი გოგონა, აზერბაიჯანელი მუსლიმი ანარი, რომელიც ძალიან მორცხვია, ჰანსთან დაახლოვოს, თუმცა აღმოაჩენს, რომ ჰანსი უკვე ანასტასიას მკლავებშია.

ვითარება ახალი წლის ღამეს, ისევე როგორც მთელი რომანი, ცდილობს დაგვანახოს, თუ როგორ უბიძგებს საბჭოთა საზოგადოების გულგრილობა ერთ შენობაში მცხოვრებლებს ერთმანეთის იგნორირებისა ან დეჰუმანიზაციისკენ.

შემდეგ კი ხდება ასეთი რამ:

*„სწრაფად შევბრუნდით ოთახისკენ. ოთახის კარი ღია იყო, მის ირგვლივ კი ნივთები იყო მიმოფანტული. იქვე სამი კუნთმაგარი საბჭოელი ახალგაზრდა იდგა და გაბრაზებული გაჰყვიროდა. ერთ-ერთი მათგანი სტუდენტური კომიტეტის თავმჯდომარე იყო. მეორეს აზიელის გარეგნობა ჰქონდა. მესამე კი თავისი გარეგნობით კაზაკი უნდა ყოფილიყო. დავინახე კუთხეში მოკუნტული იჭდა შიშველი ჰანსი. აზიელმა სტუდენტმა დაიძახა: თქვენ, არაბებო! მისნაირო ჰომოსექსუალებო! და სხვებო! რატომ ემეგობრებით და მფარველობთ მას? უცებ სტუდენტური კომიტეტის თავმჯდომარე წამოხტა და მკაცრი ტონით უთხრა: მოკეტე! შენ არ გაქვს ამის თქმის უფლება! მერე ჩვენკენ შემობრუნდა და თქვა: დაინახეს, რომ მიხა აუპატიურებდა მას. მათ ჰანსი დერეფანში გაათრიეს, კიბისკენ*

წილით გაავლეს. მერე კი ხელი ჰკრეს და ჰანსი საფეხურებზე დაეშვა. დაედევნენ და უკან ამოიყვანეს. სრულიად შიშველი, ნაცრისფერ საბანში იყო გახვეული. თავის სანოლზე დაავლეს და გავიდნენ. ერთ-ერთი მათგანი მოგვიბრუნდა და თქვა: შეიძლება თქვენს ქვეყანაში ეს ნორმალურია, მაგრამ საბჭოთა კანონით ხუთ წლიანი პატიმრობით ისჯება.“  
(გვ.218-219)

შუქრი და მისი მეგობარი ჰამიდი ჰანსს სამედიცინო დახმარების აღმოჩენას შესთავაზებენ, მაგრამ ის უარბეა. ხოლო მას შემდეგ, რაც მთხრობელი შეეცდება დაიძინოს მაგრამ ვეღარ შეძლებს, თბილად იცმევს და გარეთ გადის. თუმცა გარეთაც ჯოჯოხეთია...

„ჰამიდმა ოთახი დატოვა და დასაძინებლად სხვაგან წავიდა. ტანსაცმელი გავიხადე და ლოჯინში ჩავწექი. ვეღარ დავიძინე. განთიადის ნაცრისფერმა შუქმა ფანჯარაში შემოაღწია. ავდექი და ჩავიცვი ტანსაცმელი, ქურთუკი, ქუდი, ყელსახვევი და ხელთათმანები. საერთო საცხოვრებელი დავტოვე. თოვდა სწრაფად და ინტენსიურად. ყველაფერი, ხეებიც კი, სითეთრეს დაეფარა. თოვლმა ჩემს ქურთუკზე, ქუდზე და წამწამებზე დაიწყო დაგროვება. კიდურები მეყინებოდა. შემოვბრუნდი და საერთო საცხოვრებლისკენ გავეშურე.“ (გვ.219)

წასასვლელი არსად იყო ... შიგნით ჯოჯოხეთია... გარეთ კი მხოლოდ გამყინავი თოვლი.

## დასკვნა

როგორც ვხედავთ, „ყინული“ აღწერს რევოლუციის უარყოფით შედეგებს, მის მარცხს, მის იმედგაცრუებებს. ავტორი მოგვითხრობს ეგვიპტელ კომუნისტზე, რომელიც მიემგზავრება მოსკოვში, სადაც აღმოაჩენს, რომ რუსეთის რევოლუციამ მარცხი განიცადა, მან არ შეასრულა თავისი დანაპირები. ამით ავტორი პარალელს ავლებს ეგვიპტეში ახლად დაწყებულ „არაბული გაზათხულის“ მოვლენებთან და რეალურად ის ცდილობს მკითხველი მიახვედროს, თუ როგორი დასასრული შეიძლება მოჰყვეს რევოლუციას მის ქვეყანაში.

რომანს მთელი თხრობის მანძილზე მოჩვენებასავით გასდევს ოქტომბრის რევოლუციის აჩრდილი. ცარიელი მალაზიები, ლურჯი ჯინსების შავი მარკეტი, ქალაქის საცვლები, იათუასიანი არაყი, „კაგებეს“ რეპრესია და ყველაზე თვალსაჩინო, „იძულებით მეგობრული“ მიმართვა -ტავარიშ. ყოველივე ეს და ნაშრომში განხილული ზოგიერთი

სხვა პრობლემური საკითხიც, რევოლუციური კულტურის ხანგრძლივი მონაპოვარია, რამაც ასახვა ჰპოვა რომანშიც.

მთხრობელი რამდენჯერმე იმეორებს ერთ თრაზას : „და ჩვენ მივდიოდით ყინულზე... “. ის მიაბიჯებს ჩუმაღ, იმყოფება მეგობრების გარემოცვაში, მაგრამ მაინც მარტოა.ერთადერთი ხმა, რომელიც ისმის, ფეხით დამსხვრეული ყინულის ტკაცუნია.

2012 წელს ერთ-ერთ ინტერვიუშიუნ 'ალლაჰი იბრაჰიმმა განაცხადა:

„როცა რუსეთში მივდიოდი, ვფიქრობდი, რომ მომავალი სწორედ ეს იყო. თუმცა, სამი წელი ვიცხოვრე მოსკოვში და ამ ხნის განმავლობაში, ყოველ ჯერზე ჩემს თავს ვეკითხებოდი: რატომ არის შეუძლებელი ნორმალურისაპარსის შოვნა ქვეყანაში, რომელმაც მთვარეზე რაკეტები გაგზავნა?“<sup>27</sup>

იგივეს ამბობს მთხრობელი რომანისდასაწყისშივე. საბჭოური ტექნოლოგიის უვარგისობით გამოწვეული იმედგაცრუება, გამოხატავს მის დაკარგულ რწმენას კომუნისტური უტოპიისადმი.

შორიდან საბჭოთა რუსეთი იყო ზღაპრული კუნძული თავისი მდიდარი შესაძლებლობებით. მაგრამ რეალობასთან შეხებამ აჩვენა, რომ ეს იყო ადგილი სიცრუის, პროპაგანდის, ჭეშმარიტების სახელს ამოფარებული ყალბი იდეოლოგიის, რომელსაც სუსტი ადამიანები მართავენ.

ავტორის თვალთ დანახულ საბჭოთა კავშირში, ერთადერთი დისციპლინირებული რამ, ეს არის მატარებელი, რომელიც ყოველთვის თავის დროზე მოდის:

---

<sup>27</sup>Margaret Litvin, Another East: Arabic Literature's Soviet Archive, Middle East Studies Assn Conference, 2018

*„ერთ-ერთმა მგზავრმა მეორეს უთხრა: ნუ ღელავ! მატარებლები ყოველთვის დათქმულ დროს მოდიან, ვკონებ, ეს არის ერთადერთი დისციპლინირებული რამ ქვეყანაში.“*  
(გვ.204)

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე რ., საქართველო მსოფლიო კონტექსტში, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2017, 702 გვ.
2. გაჩეჩილაძე რ., რას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი? ჟურნალი „ჩემი სამყარო“ 2004
3. გვახარია გ., ფილმი - იუბილარი „გიორგობისთვე“ , (9 ოქტ, 2006)  
<https://www.radiotavisupleba.ge/a/1549074.html>
4. გვახარია გ., ოქროს საუკუნე, (10 დეკ, 2010)  
<https://www.radiotavisupleba.ge/a/1517468.html>
5. [Elliott Colla, Revolution on Ice, \( Jan 6, 2014\)](#)  
<https://www.iadaliyya.com/Details/30039/Revolution-on-Ice>

6. Margaret Litvin, Another East: Arabic Literature's Soviet Archive, Middle East Studies Assn Conference,  
2018 [https://www.academia.edu/37823673/Another East Arabic Literatures Soviet Archive](https://www.academia.edu/37823673/Another_East_Arabic_Literatures_Soviet_Archive)
7. Margaret Litvin, "Fellow Travelers? Two Arab Study Abroad Narratives of Moscow." In *Illusions And Disillusionment: Travel Writing In The Modern Age*, ed. Roberta Micallef. ILEX/Harvard University Press, June 2018. 190  
[pphttps://www.academia.edu/37823537/Fellow Travelers Two Arab Study Abroad Narratives of Moscow](https://www.academia.edu/37823537/Fellow_Travelers_Two_Arab_Study_Abroad_Narratives_of_Moscow)
8. Margaret Litvin, "Frosty Utopia: Russian Connections in Arabic Literature." Center for Translation Studies, American University in Cairo, Egypt, October 2014. <https://margaretlitvin.com/arab-russian-literary-ties/>
9. Michelle penn, Era of stagnation in Russia: Causes & Effects,  
<https://study.com/academy/lesson/era-of-stagnation-in-russia-causes-effects.html>
10. Paul Partner, (26 july,2018) The history of the KGB and its legendary methods  
<https://bigthink.com/paul-ratner/what-was-the-kgb-and-why-did-it-terrify-the-world>
11. The Editors of Encyclopaedia Britannica, Cancer Ward,  
<https://www.britannica.com/topic/Cancer-Ward>
12. The Editors of Encyclopaedia Britannica, Sun` Allāh Ibrāhīm(jun 17, 2019)  
<https://www.britannica.com/biography/Sun-Allah-Ibrahim>
13. Tommi O'callaghan, (april 29, 2018) Beryozka shops: How Soviet citizens bought scarce goods with foreign currency <https://www.rbth.com/history/328174-beryozka-shops-soviet-foreign-currency>
14. Valeriy M. Rutgaizer, *The Shadow Economy in the USSR*, *The national council for soviet and east european research*, Duke university, Paper #34, February 1992, 82pp
15. صنع الله إبراهيم, *الجليد*, دار الثقافة الجديدة, القاهرة 2011, pp219

